№ 256. 6 დეკემბერი, ქვირა. 1866 - 1881 6 დეკემბერი, ქვირა. № 256


# ДРОЕБА

ГАМОЦДИС УКУЕЛ-ДЕЦ ОРШАБАТИС ГАРДА

**РЕДАКЦІА**

გლოგინის ბრანსკეტზეო. ოგ. შუხრანხეის ხახლებში ალუნის ქვემოთ.

**ХЕЛІС-МОЦЕРА**

შიდგებიან თეოლოსში „დროებაში“, „ოგერეაზეს“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაში-ოგერეაზეს“ ალგესტოან ი. ჭეოანიხოან ხალაზე. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

**„ДРОЕБА“-„ИВЕРІИС“ ФАСИ**

წელიწადში. 6 თვეს. 3თვეს

| | | | |
|---|---|---|---|
| დროებაში“ და „ოგერეაზეს“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროებაში“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ოგერეაზეს“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 ვერ. ბრანკეტიანი ასოზე 5 კაპ. მოკლეთ ასოზე ნახევარი კაპ. ბრანკეტიანი ასოზე შვიდი კაპ.

თუ ხანგრძლივი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს ხანგრძლივად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უარს ეტყვის კარ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაში“-„ოგერეაზეს“ აგენტთან.

ფასი ერთ ნომერი „დროებისა“ 5 კაპ.



პედაგოგიური რჩევა ქალაქის სახელოსნო სასწავლებლისა სთხოვს ამ სასწავლებელში მყოფ მასწავლებლის მიცვალებულის **კოსტანტინე დავითისძე ნაცვლიშვილის** ნათესავებთა და ნაცნობებთ მობრძანდნენ მის პანაშვიდზე, რომელიც დანიშნულია **დღეს** 6 ქრისტეშობისთვეს, დილის $11^1/_2$ საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.



**არწრუნის თეატრში**

**დღეს, 6 დეკემბერს**

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

# მზის დაბნელება

ორგინალური კომედია 3 მოქმედებად, **ზ. ანტონოვისა.**

**ფასები დაკლებულია.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში.

**დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.**


# ტელეგრამა

(„ხალხის ამბავის ტელეგრაფის აგენტისა“)

**პეტერბურგი, 4 დეკემ. თ. ურუსოვი, ავათმყოფობის გამო, დათხოვნილია მ. ი. უმაღლესობის კანცელარიის მეორე განყოფილების მმართველობის თანამდებობიდგან. ფინანსის სამინისტრო აცხადებს, რომ ის ცვლილება, რომელიც უნდა მოხდეს ქალაქის საზოგადო ბანკების წესდებაში, არ შეეხება ამ ბანკების წესდების ძირითად საფუძვლებსა.**

**გაზ. „ბორიადოგში“ იწერებიან: სამხედრო სამინისტროს განზრახვა აქვს გააუქმოს მთავარ სამხედრო-საქმიო გამგეობა.**

## «დროების» ფელეტონი, 6 დეკემ.

* * *

სადაცა შემქმნა ბუნებამ,
მასტუმრა ამ ქვეყანასა;
სადაცა დედა მშობელი
ბრძნობით მიმღერდა „ნანასა;“

—

სადაც ხან იგი ღიმილით
პაწაწას მიჩლექდა ენას,
ხან გულში ჩამიხუტებდა,
როს შემატყობდა მოწყენას;

—

სადაცა მე მან გამზარდა,
მაწოვა ძუძუ თვის ტკბილი;
სადაცა ამომიგიდა
პაწას პირველი კბილი.

—

სადაცა ჩჩვილმან ტიკტიკი
ვისწავლე, ფეხიც ავიდგი,
სად ნათელ ვიღე, გვირგვინი
ქრისტიანობის დავიდგი;

—

სად პირველ გრძნობა მომეცა,
ვიცანი მისი მე არე,
სადაცა გამომიელია
ბევრი ლხინი და სიმწარე;

—

სადაც მე მისი წყალობით,
ქაცი მოვყრილვარ ამ-ხელად;—
—მისთვის სიცოცხლე, სიკვდილიც
მე ჩამითვლია სახელად....

—

მისი სახელი Ивери!....
მიყვარს, ღრმად გულში მაჩნია,
ის არის ჩემი ბაღდადი,
სამშობლოდ ის მიმაჩნია.

29 ნოებერს. **რუს-იმერელი.**
თფილისი

## თეატრის ქრონიკა

წარმოდგენა 2-ს დეკემბერს: „ორ ტეტნდ-შუა“ და „სამაგალი“.—იმათი ასრულება ჩვენს სცენაზე.—მომავალი წარმოდგენა არწრუნის თეატრში: „მზის დაბნელება.“—ქუთათურების განზრახვა საკუთარ სცენის გასამართავად.

ორივე ზემოხსენებულ პიესებს ჩვენი საზოგადოება წინათაც იცნობდა. და რამდენადაც უფრო ბევრი განხორციელდებიან პრაქტიკულ ცხოვრებაში, იმდენად ეს ხალხი უფრო დაწინაურებული იქნება თავის წინმსვლელობით გზაზედ.

იმიტომაც მინდა რამდენიმე სიტყვის თქმა ესრედ-წოდებულ „მოძრავ სკოლებზე;“ იქნება ამ სკოლების გახსნის სურვილი გავრცელდეს ჩვენს საზოგადოებაში, იქნება ეს იდეა შეესაბამოს ჩვენ ცხოვრებას და ამ გვარი სკოლების დამართვამ ჩვენში ცოტაც არის წინ წასწიოს სწავლა-განათლების საქმე. იქნება ეს სკოლები ჩვენში შეიქმნენ გამავრცელებელნი ცოდნისა და მით ამოგვიყვანონ იმ ღრმა უფსკრულიდამ, რომელშიაც ეხლა ჩვენ ვართ ჩაცვენულნი.

ვინც ჩვენ ცხოვრებას ცოტაც არის იცნობს, ისიც ეცოდინება, რომ ჩვენა გვღუპავს ჩვენი უცოდინლობა. რითი უნდა აღვადგინოთ ის გმირული მამულის სიყვარული, რომელსაც ისე ძვირად აფასეფდნენ ჩვენი წინაპარნი და რომელსაც მსხვერპლად სწირავდნენ თავის სიცოცხლეს?—Ცოდნით. რითი უნდა ავანთოთ ის აწ გამქრალი სიყვარული, რომელიც, შთანერგილი კაცის გულში, ამაღლებს მას იმ ზნეობით წერტილამდინ, სადამდინაც უნდა მიაღწიოს ადამიანმა?—Ცოდნით. რითი შეგვიძლიან მოვესპოთ მდაბალი თავ-მოყვარეობა, რომელმაც დასთრუგნა და გაანადგურა ცხოვრების იდეალი: ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის?—Ცოდნით. რითიც შეიძლება ცოტაც არის გაუმჯობესდეს ნივთიერი დაცემა ჩვენი ხალხისა თუ არ ცოდნის გავრცელებით? ერთი სიტყვით, რითი შეიძლება ადამიანი გახდეს ადამიანად, თუ არ ცოდნის და სწავლის დახმარებით?

მაგრამ ცოდნის გავრცელება მოითხოვს დიდ ნივთიერ ძალას; ჩვენ კი ვიჭყლიტებით სიღარიბის მძიმე უღლის ქვეშ. იმიტომაც ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ მცირედი ნივთიერი ძალის დახარჯვით მივაღწიოთ რაც შეიძლება უფრო მომეტებულს წარმატებას ხალხის განათლების საქმეში.

ერთი საშუალება, რომლითაც შეიძლება დაჰკმაყოფილდეს ჩვენი ხალხის სწავლისადმი გაუმაძღარი ლტოლვილება არის „მოძრავი სკოლების“ დამართვა, რადგანაც ეს სკოლები ლირან იაფად და, სახლში სწავლას ავრცელებენ არა-ნაკლებ მუდმისი სკოლებისა.

**რა** არის „მოძრავი სკოლა?“ ეს სჩანს ხახელწოდებიდგანვე. ეს ისეთი სკოლა არის, რომელშიაც შეგირდები კი არ მიდიან მასწავლებელთან, არამედ მასწავლებელი მიდის შეგირდებთან.

**რადგანაც** ამ სკოლებს აქვსთ მიზნად, რაც შეიძლება გაუადვილონლ და აუჩქარონ ხალხს სწავლა-განათლება. ამიტომაც მათგან ჩვენ ბევრსაც ვერ მოვითხოვთ. და ბევრიც მგონია, 2-ს დეკემბერს დასრულდა ის ერთგვარ ხასიათების და ერთგვარ მიმართულების პიესები, რომელთაც თამაშობდნენ დღემდის; მაგ. „დანგრეული ოჯახი“-ს ორჯერ დადგმა, შემდეგ „ორ ცეცხლ-შუა.“ ყველა ამ პიესებში ჩვენ ვხედავდით ცოლისაგან ქრმის ღალატს. რასაკვირველია, რომ აქტრისა ხერხეულიძის ქალისათვის, რომელიც თამაშობდა ამ როლებს. სასარგებლოა ითამაშოს ერთნაირის ხასიათის როლები იმიტომ, რომ ყოველის მხრით შეისწავლოს მან ეს ტიპი და შემდეგ კი გადავიდეს სხვა გვარის ხასიათის როლებზე, სხვა ტიპებზედ; მაგრამ საზოგადოებას შეიძლება სურდეს უფრო სხვა გვარი წარმოდგენები.

მადავიდეთ 2-ს დეკემბრის წარმოდგენის აღსრულებაზედ.

ბ-ნს ა. მესხს, რომელიც დიუმონის როლს თამაშობდა, ჰქონდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებიც. არ ვიცით რა მიზეზის გამო, იმას ამ ჯერობით ვერ შეემუშავებინა თავისი როლი. ყველა, ვისაც კი უნახავს ბ-ნი მესხი დრამაში „შეშლილია“, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ის ყოველ მხრივ შეამუშავებდა ამ როლს. მშვენიერი ადგილები მეორე და მესამე მოქმედებისა არ იყენენ იმისაგან ჩვეულებრივ ხელოვნურად აღსრულებული, განსაკუთრებით არ გამოეანგარიშნა იმას თავის ხმის ძალა. მაგ. მესამე მოქმედებაში, დიუმონის როლის მოთამაშემ უნდა იცოდეს—სად უნდა ხმის ამაღლება და სად დამდაბლება. რადგანაც ის ხან გაჯავრებულია და ხან სულითა და გულით შეწუხებული, ამისთვის ხმაც ხან ამაღლებული და ხან დადაბლებული უნდა ჰქონდეს, ესე იგი, უნდა მიეღო ან ტირილის ან ჩურჩულის კილო. ეგენი ჩვენ ვერ შევამჩნიეთ რიგიან შემუშავებულად ბ-ნს ა. მესხს.

ხერხეულიძისას, როგორც ზეით მოგახსენეთ უკვე ჰქონდა ჩვენს სცე-

საჭიროც არ არის. ამ სკოლამ, რომ ყმაწვილს დაასწავლოს წერა-კითხვა, გადასცეს უსაჭიროესი ცნობები საღრმთო სჯულიდამ, შეაჩვიოს ანგარიშს, ისე რომ ყმაწვილს შეეძლოს დამოუკიდებლივ გაგრძელება სწავლისა,—მაშინ ამ სკოლის მიზანი მიღწეული იქნება.

თუ ჩვენ როდისმე მოგვიხდება მოძრავი სკოლების დამართვა, უნდა გამოვიკვლიოთ და შევადგინოთ ამ გვარ სკოლების წესები ადგილობრივი თვისების და ხალხის მოთხოვნილების-და-გვარ. ეხლა ვიტყვი მხოლოდ—რა ხასიათს და თვისებას აძლევს ამ სკოლებს რუსეთის ერთი გამოჩენილი პედაგოგი ბუნაკოვი.

ერთ მასწავლებელს სამგან აქვს გამართული სკოლები. რადგანაც ვერც შეგირდები და ვერც მასწავლებელი ვერ იშრომებენ სრული თორმეტი თვე და გარდა ამისა უქმეებშიაც სწავლა არ არის, იმიტომაც სწავლა არის მხოლოდ 36 კვირა, ანუ 216 დღე. ამ დროს მასწავლებელი ჰყოფს სამ ნაწილად, ამ გვარად: 10 კვირა მასწავლებელი მუშაობს პირველ ადგილში და იმდენს ასწავლის თავის მოწაფეებს, რომ მათ შეეძლოთ შრომა უმასწავლებლოდ. შემდეგ ამ შეგირდებს აძლევს საქმეს და თითონ კი მიდის მეორე ადგილს, სადაც ის შრომობს კიდევ ათი კვირა; აქაც ასწავლის იმდენს, რომ ყმაწვილებს შეეძლოთ თავისთავად მუშაობა, აქედამ ბრუნდება ისევ პირველ ადგილს, სადაც უთვალიერებს ყმაწვილებს შრომას, ამეორებინებს გაელილს ნასწავლს. აქ რჩება ორი კვირა და მერე მიდის მესამე ადგილს, სადაც რჩება აგრეთვე 10 კვირა და ასწავლის, როგორც პირველში და მეორეში; აქედამ მასწავლებელი ორი კვირით მიდის მეორე ადგილს, სადაც ყმაწვილებს უთვალიერებს საქმეს, ათავებინებს სწავლას და ბოლოს ორი კვირით მიდის ისევ მესამე ადგილს.

ამ სახით ყმაწვილებმა შეიძლება იმდენი ისწავლონ, რომ შეეძლოთ დამოუკიდებლივ გაგრძელონ სწავლა, მეტადრე თუ ექნებათ გამართული სოფლის ბიბლიოთეკები; ზოგი მათგანი-კი, თუ მოინდომებენ, შეუძლიანთ შევიდნენ მუდმის სკოლებში და ისწავლონ ერთად იმ ყმაწვილებთან, რომელთაც სრული წელიწადი უსწავლიათ. რადგანაც ამ მოძრავ სკოლებს აქვსთ განსაკუთრებული ხასიათი, იმიტომ მათთვის უნდა იყოს შედგენილი განსაკუთრებული სახელმძღვანელოები და განსაკუთრებული პროგრამეები.

ამ მოკლე შენიშვნით მივმართავ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომ მან დაწვრილებიდ განიხილოს ეს საგანი და საცდელათ ერთგანაც არის მაინც გამართოს მოძრავი სკოლა. იქნება ცდა არ დარჩეს უნაყოფოდ და მაშინ შეიძლება მოძრავი სკოლები შეიქმნენ ჩვენი ხალხის განათლების წყაროდ.

რ. ჯაჯანაშვილი.

## ახალი ამბები.

დაგვიზამთრდა. ბუშინ წინიდამ დაწყებული დღემდინ თითქმის გაუწყნარებლად თოვლს და თუ ასე გასტანა, მალე სამარხილოდ (სასანოდ) გადაიქცევა ჩვენი ქუჩები.

იმედია, ეს ნამდვილი ზამთრის დადგომა ცოტაც არის შეამცირებს იმ სხვა-და-სხვა ავადმყოფობას, რომელმაც ამ უკანასკნელს დღეებში დაიწყო ჩვენს ქალაქში გაძლიერება.

***

როგორც ბაქოს გ. გვაცნობებს, უმაღლეს მთავრობას გარდაუწყვეტია, ნაწილ-ნაწილად დაჰყოს ის ნავთოსანი მიწები და სხვა მადნეულობის ალაგები, რომელიც ქასპიის ზღვის იქითა მხარში და ახალ დაპყრობილ თეკეში აღმოჩენილან, და შემდეგ ასე ნაწილ-ნაწილად გაჰყიდოს აუქციონის ვაჭრობით. ზემოხსენებული გაზეთი იმედოვნებს, რომ ჩვენ-ური ვარები შეიძენენ ამ მადნისა და ნავთოსან ადგილებსაო, რომელსაც, უეჭველია, შემდეგში დიდი მომავალი მოელისო.

***

ხვალ, ორშაბათს, ქალაქის რჩევას შემდეგ საგნებზე ექნება სჯა:

მოხსენება გამგეობისა სიონის ქუჩის გაგანიერების შესახებ;

წინადადება ქალაქის თავისა მუხრანიანთ ხიდის თაობაზედ;

ქალაქის სეკრეტრის ამორჩევა;

მოხსენება ქალაქის გამგეობისა ცხენების ხარჯის შესახებ და სხვ.

***

ჩვენ მივიღეთ ზემო-იმერეთიდამ შემდეგი საყურადღებო ცნობა:

„წელს ზაფხულში, რაოდენიმე ცრუ აგენტების შემწეობით, დაჰყარეს ხმა, ვითომც თავ. მირსკი ყიდდეს აჯამეთის ტყეს.

ერთი იქ მცხოვრები ა. შეეკრა პიროობით თ. მირსკის მამულის მმართველს ბე-ს, რომ მას ა—ეს გაესაღებინა რვაასი ას მანეთიანი ბილეთი, იმ პირობით, რომ მსურველს გლეხს შეეძლო, თუ კი იყიდდა ზემონათქვამს ბილეთს, შესულიყო აჯამეთის ტყეში, ორი უღელი ხარით და ოთხის კაცით და ორ თვეს ემუშავნა, თავის სასარგებლოდ.

„ზემო ნათქმი ვაჭბატონი შეუდგა ბილეთების გასაღებას; დაიარა მთელი არგვეთის სოფლები და უქადაგებდა გლეხებს ამ საქმით დიდი სარგებლობის მოტანას.

„საუბედუროდ, საქმემ კი სულ წინააღმდეგი გვაჩვენა: ჯერ ხალხი ერთმანეთს ეკითხებოდა: „ვინ გამოგვიჩნდა ეს იესო ქრისტეს მგზავსი კაცი, გვიპირებს დახსნას გაჭირვებისაგანო!“

„ამ კაცს ქადაგება ისე შირდეს, როგორც სოლომონის ბეჭედი. მოგეხსენებათ, თუ შორაპნის მაზრის რაოდენიმე სოფლები რა გაჭირვებაში არიან უტყეობით; ამისათვის ყოველი კაცი ააწუწუნა ამ ვარემოებამ და გლეხებს არაფერი აღარ დაუზოგავსთ: გაყიდეს, თუ რამე გააჩნდათ, და შეიძინეს ზემორე ნათქვამი ბილეთები, დიდს მზადებაში იყვნენ ნოემბრის პირველისათვის წასასვლელად და სამუშავოდ. ეს ვადა იმ კაცისგან ჰქონდათ დანიშნული. დამავიწყდა მეთქვა, რომ ვისაც სხვა საშუალება არ ჰქონდათ, თითო სახლის პატრონმა ისიც კი გაყიდა და ცოლ-შვილი ჩალის კარავში დაყარა იმ იმედით, რომ ამ ზიმთარში შეშა ბევრი მექნება და სახლის მასალას იქ ვიშოვნიო.

„მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს როგორც იმათ დაემართა; იმედმა მოულოდნელად უღალატა საწყალს ჩვენს ყოველის მხრით მოტყუებულს და შევიწროებულს გლეხებს: წრფელის ნდობით ისარგებლეს ამ გაიძვერებმა და რა კი იგდეს ხელში ოთხმოციათასი მანეთი, არა თუ ტყე მიეცათ მებილეთეებისათვის, არამედ ბევრი მათგანი ცემა-ტყეპის მსხვერპლიც კი შეიქნენ. ხალხი დღემდინ კიდევ იმედოვნებდა და ეხლა კი მიიღეს პასუხად, რომ იძიონ სუდის წესით, და ნებით კი ვერას მიიღებთო. მაგრამ ან სასამართლოს წესით რა უნდა ამოიგონ ამ საწყლებმა!

„მიმინდია მკითხველისათვის, წარმოიდგინოს მდგომარეობა ამ გვარად მოტყუებულის გლეხებისა.“

## წერილი რედაქტორთან.

თქვენ პატივცემულ გაზეთ „დროების“ მე-190 და 239 №№-ში იყო დაბეჭდილი ორი სტატია შესახებ

---

ნაზე შემთხვევა, ხშირის ამ გვარის როლების წარმოდგენით, შეესწავლა გარდმოცემა იმ დედა-კაცის ტანჯვისა, რომელიც ღალატობს ქმარსა. ამ პიესაში ღალატი არის მხოლოდ ერთის წამისა, როდესაც ის გატაცებულია კეთილ-შობილურის და სულ-გრძელობის მოქმედობით ქმრის მეგობრისა და იმისი სილამაზით, დროებით დაემონა იმის ნებას და შემდეგ შვიდის წლის განმავლობაში უნდა ტანჯულიყო იმის უწინდელ საყვარლისაგან, რომელიც ყოველს წამს ემუქრებოდა მას გაეგზილა იმის საყვარელ ქმრისათვის საშინელი საიდუმლოება, რომლითაც ის იტანჯებოდა. ეს ადგილი ჩინებულად იყო აღსრულებული ხერხეულიძის ქალისაგან.

რამდენათაც ჩვენ სიამოვნებით ვუყურებთ ამ აქტრისის განვითარებას თამაშობაში, იმოდენად ვსწუხვართ იმის ზოგიერთა ნაკლულევანებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ არ გაუსწორებია მას,—ეს ნაკლულევანება მდგომარეობს კილოს ერთნაირობაში, სიტყვების განმეორება მონოლოგებში და მარტო მარცხენა ხელის სხვა-და-სხვა გვარ მოძრაობაში. არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ ყურადღება იმის ჩინებულ ტანისამოსის ჩაცმის გემოვნებაზედ, რომელიც ასე იშვიათია ჩვენს დასში.

მაგ. მძინაროვის ქალი გამოვიდა მუქი ცისფერის კაბით და შავის შლიაპით, როდესაც თითქმის ყველამ იცის, რომ ეს ფერი არ უხდება შავგვრემან ქალს, განსაკუთრებით ამას არ ჩაიდენდა პარიჟელი ქალი. თვით საფაროვისასაც, რომელმაც იცის სცენაზე გემოვნური ჩაცმულობა, მოუხდა ამ გვარიგე შეცდომა. იმისი რაღაც გაუგებარის ფერის კაბა, აჩვენებდა მას რამოდენიმე წლით უფრო ხნოვანად. თუმცა იმან თავის ჩინებულის და ხელოვნურის თამაშით გამოისყიდა ეს ნაკლულევანება, მაგრამ მაინც საჭიროა იცოდეს აქტრისამ მნიშვნელობა ტანთსაცმლისა როლისათვის.

ბ-ნმა მოხვევმ დაიწყო გამოსვლა სცენაზედ რაღაც ახირებულ ტანისამოსებში. ლევან, რომლის როლსაც ის თამაშობდა, ღამჯდარის ხასიათის კაცია; ის თუ გატაცებულია ყმაწვილის ქალის სიყვარულით, ეს კიდევ არ გვიმტკიცებს, რომ ქარაფშუტა იყოს; მოხვევს მონადირეს სერთუკი თეთრის დიდი ფოლაქებით და ვინ იცის რისთვის ჟილეტის გარეთ გადმოგდებულის ცის ფერის ყელსახვევით, სრულებით არ შეფერის ზემო მოყვანილს ტიპს.

ბაბუნიას ქალი თავის ჩინებულის თამაშით მოეწონა საზოგადოებას.

ბ-ნს ალექსეევ-მესხიევს, რომელიც ისე ცდილობდა „დანგრეულ ოჯახში“, ამ ბოლოს დროს თან-და-თან ნაკლებ ეტყობა მუშაობა.

—

დღეს არწრუნის თეატრში თამაშობენ არა ერთხელ ნათამაშევს და საზოგაგადოებისაგან მოწონებულს პიესას ანტონოვის „მზის დაბნელებას“ და ოთხშაბათისათვის, როგორც წინად მოგახსენეთ, საზაფხულო თეატრში, ამზადებენ, ბ-ნი ძ. ულიფიანის ბენეფისისათვის შექსპირის დრამმას „ვენეციელ ვაჭარს“.

ქუთათურებს, როგორც გავიგონეთ, სურსთ გამართონ ქართული წარმოდგენები. თუმცა ჯერ ნამდვილად არ ვიცით დანიშნულება ამ წარმოდგენებიდამ შემოსულის ფულებისა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისინი აპირებენ სცენისათვის შრომას. ბ-ნი ვ. აბაშიძე და ძ. მესხი საუკეთესო მოთამაშეები ჩვენს თეატრის დასში პირველად ქუთაისში გამოვიდნენ სცენაზედ. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ წარმოდგენები ქუთაისში გამოაჩენენ ახალ ნიჭიერ მოთამაშეებს, რომელიც ეჭირება ქართულ სცენას.

ემბე.

თიონეთის გზის მუშაობისა, რომელშიაც ავტორი „ლომო სუმ“ ჩამოსთვლის ზედამხედველთ ჩინოვნიკების ბოროტ-მოქმედებათა, ხალხის შეუბრალებლობასა და ზარალსა; თან-კი დასტალულად ამბობს, „თუ ეს მართალია, ბოროტება არისო“. რადგანაც დუშეთის მაზრის ხალხის უფროს ზედამხედველად მე ვიყავი დანიშნული, ამისათვის გთხოვთ, ბ. რედაქტორო, მისცეთ ადგილი ამ ჩემს პასუხს თქვენს პატივცემულ გაზეთში.

როგორც თვითონ ავტორი ამბობს, თფილის-თიონეთის გზის ნაწილის გაკეთება მთავრობამ დააკისრა დუშეთის მაზრის ხალხსა და ზედამხედველად ვიქმენ მე დანიშნული.

პირველი მუშაობა ხალხმა დაიწყო მარტის უკანასკნელ რიცხვებში, სოფ. ცხვარის-ჭამიის სიახლოვეს, სადაც ერთად შეყრილს ხალხს და მათ მოხელე პირებს გამოეუცხადე: კომლზე რაოდენი არშინი, ანუ საჟენი, გზა უნდა მიიზომონ მთავრობისაგანვე დანიშნული კონდუქტორისაგან; ჩავაგონე ჩემი იქ ყოფნის მნიშვნელობა, რომ მათი ზედამხედველი ვარ: არავინ შეაწუხოს ხალხი, ან ფულის გამორთმევითა ან მეტი გზის მიზომითა; და თუ ვინმემ ამ ვარი რაჰ შეწუხება მიაყენოს, მაშინვე მითხრან.

დაწყობილმა მუშაობამ დიდ-ხანს არ გასტანა; შეიცვალა ტაროსი და ხალხი დავითხოვე თავ-თავის სოფლებში 20 აპრილამდე.

როდესაც 20 აპრილისათვის მუშა ხალხი იყო გაყვანილი, მე ავადმყოფობის გამო ვერ წაველ და ზედამხედველად იყვნენ თ. ტუსიევი და ჩინოვნიკი ოსიტოვი. ხოლო 1 მაისს შევიძელ წასვლა ცხვარის-ჭამიაში და გზაში შემხვდა ის საზოგადოება, რომლის 50 მანეთი, ავტორის სიტყვით, ჩაყლაპულა, გამქრალა; ეს ხალხი შევაყენე, რადგან გამოპარული მეგონა, გამოვკითხე—რის მიზეზით დაბრუნებულა მუშაობიდგან; დამარწმუნეს, რომ თავისი ხვედრი გზა ფოდრიადჩიკს გადასცა; ამ ჟამად ის ჩერქესიანებიც; რომლების ნაანბობს მოგვითხრობს „ლომო სუმ“, იქ ბრძანდებოდნენ.

მიველ რა მუშა ხალხში, გავშინჯე დაზომილი გზები, აღმოჩნდა, რომ, სხვათა შორის, ამ მოხსენებულის საზოგადოების გზას აკლია 105 საჟენი; დავიბარე ამ საზოგადოების აღმორჩეულნი პირნი, რომელთაც გზა გადასცეს ფოდრიადჩიკს, შევუდექ გამოძიებას, თუ რა მიზეზით აკლია ზომა და აღმოვაჩინე, რომ ეს საზოგადოება და კონდუქტორი შეთქმულან პირობით, რომ 105 საჟენი გზა მოიპარონ ან კონდუქტორს ფული მისცენ. ამავე გამოძიებით იქვე გამოვტეხე ორთავე მხარენი ამ მოქმედებაში; შევუდგინე პროტოკოლი და ამ კონდუქტორისაგან მიღებული ათი თუმანი, როგორც ორივე მხარემ გამოსთქვეს, იქვე დავაბრუნებინე ხალხისთვის, რომელთაც პროტოკოლზედვე მოაწერეს ხელი ფულის მიღებისა, და ხალხს მეორედ მივუზომე რაც მოეპარათ. ეს პროტოკოლიც და სამოდე სხვაც, წარვუდგინე ჩემს მეუფროსესა.

კონდუქტორი გამოგდებული იყო, ბრძანებს „ლომო სუმ“. ძრიელ სტყუის; კონდუქტორი შტატით იყო, მაგრამ გამოაგდეს ჩემს გამოძიებითა. ეს მოხდა აპრილში; გამოძიება იყო მაისში და ავტორს კი ახლა გაუგია.

ბარდა 100 მანეთის მეტი არავის ამ საზოგადოების პირთაგან ჩემთან არ გაუხსენებიათ; „ლომო სუმ“ კი ღაღადებს, 50 მანეთი ჩაიყლაპაო! რატომ არ იტყვის—ვისთან ანუ ვისგან ჩაიყლაპა? ეჭვში რად აგდებს სხვასა? აი მე მოვახსენებ—როგორ და ვისაგან ჩაიყლაპა.

შემთხვევით ვიყავი ერთს იმავე მოხსენებულ საზოგადოებაში მცხოვრებელის აზნაურის სახლობაში; იქ ერთმა დალეულმა პირმა წარმოსთქვა, ქრთამის აღებაში იქ მყოფს ჩინოვნიკს ოსიტოვს წილი უძევსო. ეს მეწყინა, რადგანაც საქმე გამოძიებული მქონდა და ოსიტოვის პატიოსნებაზედაც დარწმუნებული ვარ; მაინც მეორეს დღეს მოვითხოვე მთელი საზოგადოება და თანადასწრებით იმ ჩერქეზულად ჩაცმულებისა გამოეკითხე ხალხს: ოსიტოვს ხომ არა გამოურთმევია-რა ან საჩივარი ხომ არა გაქვსთ-რა იმაზე? ხალხმა უარ-ჰყო ამ სიტყვით: „ტყვია ჩაგვესხმის, რომ იმას ტყუილად დავაბრალოდ რამეო“. ჩერქესკიანები დარჩნენ პირ-მშრალად. ხალხმა იჩივლა თავის აღმორჩეულ პირებზე, რომ 150 მანეთი დახარჯესო და თქვენ-კი მარტო 100 მანეთი გამოგიცხადესო.

მაშინვე მოვიწვიე ჩერქესკიანებისაგან დამალული მამასახლისი და აღმორჩეულნი პირნი და ვაყვედრე:—წინადვე დაგარიგეთ, არავის ფული არ მისცეთ-მეთქი და თქვენ ესეც მოიქმედეთ, რომ მიცემული 50 მანეთი გამოძიებაში დამალეთ! მამასახლისმა და იმ პირთ იქვე აღვიარეს: თქვენი დარიგება არ შეეისმინეთ ესტყუითო, ჩვენც ქურდები ვართ და კონდუქტორიცაო; მაგრამ ჩვენ რაც მივეცით კონდუქტორსა, ის გამოგიცხადეთო და უკანვე მივიღეთო, 50 მანეთი კონდუქტორისათვის ჩვენ არ მიგვიციაო, ეს ფული წაიღო ჩვენმავე კაცმა პეტრე ზაბოშვილმა და ვისაც მისცა, იმისი ბარათი აქვსო.

ზაბაშვილს მოვატანინე ბარათი დაწერილი 25 აპრილსა ამავე საზოგადოების ფოდრაჩიკის ართემ ქავთაროვისაგან, რომელშიაცა მამასახლისს სწერს. ამ პეტრემ ხუთი თუმანი მოიტანაო იმ ათ თუმანში, რომელიც თქვენ აღუთქვით კონდუქტორსაო და დანარჩენიც მოუტანეთო. ხელ-მეორედ შეუდეგ ამ 50 მანეთის გამოძიებას, მაგრამ აი რა გამოვიდა: პეტრე ზაბოშვილმა სთქვა, ხუთი თუმანი ქავთაროვს მივეციო და არა კონდუქტორსაო ამ ნიშნით, რომ მან ერთი თუმანი ისევე მე დამიბრუნა, ღვინო დალიეო. ამას პირში ეუბნება ქავთაროვს, მაგრამ ქავთაროვმა უარ-ჰყო ფულის მიღებაზე. ბარათისა სთქვა, თვითონ პეტრემ მთხოვა და მეც დაუწერეო.

რაც მე ქავთაროვს დღე დავაყენე, იკითხოს „ლომო სუმმა“ და გამოაცხადოს ერთად ისიცა—თუ ვისთან ჩაყლაპულა 50 მანეთი. აქ კონდუქტორს არა შეეხება-რა და ხალხმა-კი ვგონებ ერთი-სამად გარდაახდევინა თავის კაცსა.

ჩემ მეუფროსეთა კარგად იციან, როგორი წინაალმდეგი ვიყავი ფოდრიადჩიკების შემოვებაზე ამ გზის მუშაობაში, მაგრამ, მოგეხსენებათ, საზოგადოებას ვერავინ წაართმევს იმ უფლებასა, რომ თავისი ხვედრი სამუშაო სხვაზედ გადასცეს. როდესაც მივედი მუშაში, ის ფოდრადჩიკები იქ დავხვდნენ და მუშაობდნენ გზასა. პირობის წერილებიც სოფლებში დაეწერათ და ფულიც მიეღოთ. აქ ჩინოვნიკს რა მზრუნველობა გაეწყობოდა იმის მეტი, რომ აშურებდნენ ფოდრადჩიკებს, გზა მალე გააკეთეთ, მუშა მოუმატეთო. მე მხოლოდ ამითი დავიცევ საზოგადოების ინტერესი, რომ ბევრი მამასახლისი დავაბრუნე მოტანილის ფულებითა და აღუკრძალე მიცემა ფოდრადჩიკებისათვის, ვიდრე გზას არ შეასრულებდნენ პირობისამებრ.

ბატონი „ლომა სუმ“ ამტკიცებს, რომ ეხლავ დუშეთის მაზრის ხალხისა სამი-ათ-ას თუმანზე მეტიაო დახარჯულიო. მე მოგახსენებთ, რომ დიდი და ნამდვილი სიცრუვე არის ესა. იმ მუშაობაში იყო სულ ათ-ას ოთხ-ასი თუმნისა საქმე ფოდრადჩიკებისაგან. ამაში სამს ფოდრადჩიკსა: ართემ ქავთაროვსა, სიმონ მირაქოვსა ან ალია ქალაევსა ჰქონდათ აღებული ათ-ასი თუმნის საქმე, და წინადვე მიღებული ჰქონდათ ხალხისაგან 4000 მანეთი: ამაში ორი საზოგადოების გზა გაათავეს, და სხვა საზოგადოებისა აკეთეს, მაგრამ ვერ შეასრულეს; ქავთაროვს ორი ამხანაგი გაექცა და თითონ შეუდგა საცადელს, რომ ფული ეშოვნა, რომ აღებული საქმეები გაეთავებინა და ხალხისაგან მიეღო 6,000 მანეთი, ამ განზრახვით წავიდა დუშეთს და ჩემის მეუღლისათვის ეთხოვნა 2,000 მანეთის სესხება, ამასაც აღეთქვა — თუ გირაობას მისცემდა; და წინადვე თითონ აქაური ნატარიუსის ხელით მიუცია ქავთაროვისათვის 3,000 მანეთი, რომლითაც გაესტუმრებინა მუშა კაცები. ამ ორ-ას თუმანში უგირავებდა ქავთაროვი თავის ორ ეტაჭიან სახლებსა. მაგრამ აქ აღმოსჩენოდა მოვალე დუშეთისავე ვაჭარი ზელიანიძე და ამის საჩივრით მომრიგებელ მოსამართლეს აღკრძალვა გირავნობისა დაედო. ამ ჟამად მხედველობაში არა ჰქონია მოსამართლეს ხალხის საჩივარი, გარდა ერთის საზოგადოებისა ჩემსავე აქტით დაწყობილი 360 მანეთისა.

ბანა მე რომ საქმეში ვიყო, ჩემს მეუღლეს ვინმე წაართმევს უფლებასა, რომ მამული დაიგირაოს? ან იქნება გსურდეს იცოდე—თუ საიდგან არის ის 2,000 მანეთი—ეხლანდელ მოგახსენებ: მიიღე შრომა შედი ნოტარიუსის არხივში და იკითხე, შარშან რა მამული მიჰყიდა ჩემმა მეულლემ თ. ლუკა ბეგთაბეგოვს და 2,000 მანეთი მიიღო თუ არა?

უკეთუ, როგორც ბრძანებს „ლომო სუმ,“ ადგილობრივ მოსამართლეს ჰქონდა მხედველობაში ხალხის საჩივარი, რომელიც ტირის ან ეძებს ასამხდურს საფარებსა, რატომ არ უყიდის ქავთაროვს იმავე სახლებსა და არ აკმაყოფილებს მომტირალს ხალხსა? იმის სახლები ღირს, 8,000 მანეთად, ამას გარდა ქავთაროვს ჰყავს ორი კიდევ ამხანაგი თანასწორი მოვალენი ამ საქმეში, რომლებსაც არა ამაზე ნაკლები აღმუჩნდებათ შეძლება!

ფოდრიადჩიკები ჩინოვნიკების მეზობლები ყოფილანო და ხალხს კი ეუბნებიანო: ფოდრიადჩიკებს არ ვიცნობთო! ვგონებ, „ლომო სუმ“ უფრო ძველი მეზობელი ბრძანდება ამ ფოდრიადჩიკებისა და მე მოსული ვარ სამსახურის გამო.

თვითონ „ლომო სუმვე“ სწერს: ჩინოვნიკები ეუბნებიან ხალხს, სუდით ედავეთო. მაშასადამე აქ ცნობაზე კი არ უნდა იყოს ლაპარაკი, არამედ საქმეზედ. თუ ვინმე ჩინოვნიკმა უთხრა ხალხს, ალბად იმის პასუხად, რომ ხალხი ხელს უშვერდა გაქცეულს ფოდრიადჩიკებზე, მოიყვანეთ და გზა გააკეთებინეთო. აქ რა შეცოდება არის, რომ ჩინოვნიკმა უთხრას: მე ფოდრიადჩიკთან საქმე არა მაქვს,—არ ეიცნობო, წადით და სუდით ედავეთო?

მგონია ზემო-აღწერილიდგან მკითხველნი დაინახვენ, რომ, თუ რამ შემწეობა და მფარველობა გამოვიდოდა ჩემგან, ხალხს არა ჰკლებია.

დუშეთის მაზრის უფროსის თანაშემწე

დ. ჭკადუა.

ქ. დუშეთი, 30 ნოემბერს.

# ნარევი

ერთმა საიდუმლო პოლიციის აგენტთაგანმა იმპერატორის ნაპოლეონის III ძლოდმა გაამქლავნა ამ ცოტა ხანში თავის მოგონებანი, რომლებიდამაც სჩანს, თუ როგორ ჩაიგდო ამ იმპერატორმა ხელში ტახტი და რა ღონის-ძიებას ხმარობდა, რომ დიდ ხან შერჩენოდა ის.

ძლოდი ამტკიცებს, რომ თვითონ იმპერატორ ნაპოლეონ III იყო გენიოსი პოლიციელი. ყოველი პოლიციელი იყო ჯაშუშად თავის მეგობრისა. ეკლესიებში, თეატრებში, კაზარმებში, თუ კერძო სახლებში, სადაც კი სამი-ოთხი კაცი შეიყრებოდა, უთუოდ ყურის მგდებელიც, ჯაშუშიც ერია მათში. ყუარებელი ფული უღრდა ნაპოლეონს თავის საიდუმლო პოლიციაო, რომელშიაც სხვათა შო-

რის მაღალ წოდების ქალებიც იღებდნენ არა-მცირედ მონაწილეობასაო.

***

ᲔᲠᲗᲘ შვეიცარიელ მესაათეს, იწყრებიან, მოუგონიაო ისეთი საათი, რომელიც შეუწყვეტლიად მუშაობსო. 1879 წლის იანვარში ამ მესაათემ წარუდგინა მაგისტრატში ორი დაკეტილი კოლოფი თავის გამოგონილის საათებით. ᲐᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲨᲘ Ე. Ი. ᲝᲪᲓᲐ-ᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲒᲐᲣᲮᲡᲜᲘᲐᲗ ᲔᲡ ᲙᲝᲚᲝᲤᲘᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲠᲝᲡ.

***

ᲔᲠᲗᲘ ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲔᲚᲡ ᲒᲚᲔᲮᲡ ᲛᲝᲣᲒᲝᲜᲘᲐ ᲜᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲣᲜᲘᲩᲑᲝᲗ ᲓᲐ ᲣᲘᲐᲚᲥᲜᲝᲓ.-(**парусъ**) ᲔᲡ ᲒᲚᲔᲮᲘ ᲐᲠ ᲐᲛᲫᲚᲐᲕᲜᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲡ, Ე. Ი. ᲘᲛᲐᲡ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲪᲣᲠᲐᲕᲡ ᲔᲡ ᲜᲐᲕᲘ, ᲓᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲒᲘᲓᲠᲐᲕᲚᲘᲙᲣᲠ ᲛᲐᲨᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲔᲝᲑᲘᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡᲝ. ᲰᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ �გᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲬᲐᲡᲬᲔᲕᲡ ᲜᲐᲕᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲬᲘᲜᲝ.

***

ᲨᲕᲔᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲐᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲓᲐᲣᲑᲔᲭᲓᲕᲘᲜᲔᲑᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐ: **„ᲯᲠᲝᲜᲑᲠᲒᲘᲡ ᲙᲝᲨᲘ,“** ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ ᲨᲕᲔᲓᲘᲘᲡ ᲡᲐᲢᲐᲑᲢᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ-ᲡᲢᲝᲙᲒᲝᲚᲛᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ,

***

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲐᲛ ᲭᲐᲛᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ 962 ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ. ᲐᲛᲐᲗᲗᲐᲒᲐᲜ 114 ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ. ᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲜᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ-ᲓᲦᲔ ᲰᲑᲔᲭᲓᲕᲔᲜ 3,581,187 ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲤᲐᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ 26,250,100 ᲓᲝᲚᲚᲐᲠᲘ. (ᲓᲝᲚᲚᲐᲠᲘ—1 Მ. 30 Კ.)

---

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ

## ᲣᲞᲠᲐᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲣᲞᲠᲐᲕᲐ (ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ), ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ 1863 Წ. ᲒᲐᲒᲠᲫ. 140 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲞᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡᲐ, ᲐᲛᲘᲗ ᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲔᲑᲡ: ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲔᲑᲡ ᲘᲣᲕᲔᲚᲘᲠᲔᲑᲡ, ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲔᲑᲡ, ᲛᲔᲡᲐᲐᲗᲔᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛ ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ Ქ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲝᲥᲠᲝ-ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲔᲜ, ᲛᲝᲣᲩᲘᲥᲐᲠᲝᲜ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲝᲥᲠᲝ-ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲜᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲛ 1882 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲘᲛ ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲣᲞᲠᲐᲕᲘᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲐᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲡ, ᲔᲠᲗᲘ-ᲝᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲔᲑᲐᲗ. (3—2)

---

ᲛᲪᲝᲓᲜᲔ ᲑᲣᲚᲒᲐᲚᲢᲔᲠᲘᲘᲡᲐ ᲔᲫᲔᲑᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲛᲑᲘᲗ, 4 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲛ. ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲯᲐᲜᲧᲣᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲠᲝᲢᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲨᲘ, № 6. (3—3)

---

ᲩᲐᲘᲡ ᲛᲪᲝᲓᲜᲔ ᲰᲘᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲣᲘᲓᲝᲡ ᲩᲐᲘ, ᲰᲘᲠᲛᲔᲚᲘ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲡᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ 1 ᲛᲐᲜ. 20 ᲙᲐ�პ. ᲓᲐ 2 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ ᲨᲔᲐᲓᲐᲠᲝᲡ ᲩᲐᲘᲡ 1 60 ᲙᲐᲪ. ᲓᲐ 3 ᲛᲐᲜ. ᲔᲤᲔᲚᲒᲐᲜ, Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲒᲔᲑᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲗ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲩᲐᲘᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲐᲛᲚᲔᲕᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲬᲝᲜᲘᲗ ᲣᲥᲐᲦᲐᲚᲓᲝᲗ ᲓᲐ ᲣᲢᲣᲕᲘᲝᲗ. (100—90)

---

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲒᲘᲡ ᲥᲕᲨ ᲓᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲩᲐᲘᲒᲐᲡᲐᲡᲬᲘᲓᲚᲐᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲐ: ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲠ: ᲗᲝᲤᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲙᲚᲘᲢᲔᲔᲑᲘᲡᲐ, ᲯᲣᲠᲯᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲙᲠᲐᲕᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ, ᲓᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲙᲝᲕᲖᲔᲑᲘᲡᲐ, ᲩᲐᲘᲜᲘᲙᲔᲑᲘᲡᲐ, ᲨᲝᲙᲝᲚᲐᲓᲘᲡᲐ, ᲙᲐᲙᲐᲝᲡᲘ, ᲓᲣᲮᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲐᲨᲮᲝᲜᲘᲡᲐ, ᲨᲐᲮ ᲙᲔᲑᲘᲡᲐ, ᲪᲮᲕᲘᲠ-ᲡᲐᲡᲮᲝᲪᲘᲡᲐ, ᲥᲐᲓᲐᲓᲓᲘᲡᲐ, ᲙᲐᲠᲐᲜᲓᲐᲨᲔᲑᲘᲡᲐ, ᲙᲐᲚᲛᲔᲑᲘᲡᲐ, ᲣᲜᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲣᲒᲠᲘᲡᲘᲡᲐ (ᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚᲘ ᲙᲚᲣᲨᲘᲖᲘᲜᲘ ᲖᲔᲗᲘᲡᲐ) ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲛᲐᲙᲘᲜᲢᲝᲨᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲣᲠᲐᲕᲔᲑᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲢᲯᲔᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲨ. ᲛᲣᲠᲐᲑᲘᲡᲐ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲩᲣᲚᲥᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲓᲣᲑᲘᲡᲐ ᲜᲝᲢᲘᲜᲒᲐᲛᲘᲓᲐᲛ. ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲭᲐᲠᲜᲐᲡ ᲒᲘᲐᲠᲔᲑᲘ. (100—42)

---

# ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

15,000 ᲗᲔᲤᲨᲘ 1 ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐ, ᲗᲘᲗᲝ 15 ᲙᲐ�პ.

12,000 ᲑᲠᲝᲚᲘᲡ **ᲡᲢᲐᲥᲐᲜᲘ** ᲗᲘᲗᲝ 25 ᲙᲐᲪ.

10,000 **ᲑᲐᲙᲐᲚᲘ** ᲓᲐ **ᲡᲢᲐᲥᲐᲜᲘ** ᲗᲘᲗᲝ 10 ᲙᲐᲪ.

10,000 **ᲤᲝᲠᲓᲜᲝᲡᲘ** ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲗᲘᲗᲝ 15 ᲙᲐᲪ.

10,000 ᲜᲔᲕᲡᲘ, 8 Კ. 40-ᲛᲓᲘᲜ ᲐᲡᲘ.

10,000 **ᲨᲔᲜᲐᲚᲘ** ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲘᲑᲝᲠᲘᲗ ᲗᲘᲗᲝ 5 ᲙᲐᲪ.

5,000 ᲑᲝᲗᲚᲘ **ᲨᲝᲠᲢᲕᲔᲘᲜᲘᲡᲐ** ᲓᲐ **ᲮᲔᲠᲔᲡᲘᲡ** ᲗᲘᲗᲝ 1 ᲛᲐᲜ.

2,000 ᲐᲠᲨᲘᲜᲘ ᲙᲚᲘᲝᲜᲙᲐ 60 ᲙᲐᲪ. 2 ᲛᲐᲜ. ᲐᲠᲨᲘᲜᲘ.

2,000 ᲓᲘᲣᲭᲘᲜᲘ ᲧᲐᲠᲐᲜᲓᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲧᲐᲚᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ 8 Კ. 50 ᲙᲐᲪ. ᲓᲘᲣᲭ.

2,000 ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ **ᲑᲠᲘᲜᲯᲘ** 7, 8, 10 ᲙᲐᲪ. ᲒᲘᲠᲕ.

1,000 ᲒᲘᲠᲕ. ᲗᲕᲐᲚᲗ-ᲛᲐᲥᲪᲘ **ᲯᲔᲑᲘᲝᲨᲯᲐ** 50 ᲙᲐᲪ. ᲒᲘᲠᲕ.

600 ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ **ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲘ** 4 ᲛᲐᲜ. 34-ᲛᲓᲘ.

300 ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ **ᲗᲝᲤᲘ** ᲗᲘᲗᲝ 20—100 ᲛᲐᲜ.

ᲓᲠᲐᲞᲘ, ᲛᲐᲣᲓᲘ, ᲢᲠᲘᲙᲝ, **ᲐᲯᲑᲝᲛᲔᲑᲘ**, ᲡᲐᲖᲐᲛᲗᲠᲝ ᲞᲐᲚᲢᲝᲔᲑᲘ, ᲥᲣᲓᲔᲑᲘ, ᲨᲐᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲤᲐᲡᲐᲓ. **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** (40—7)

---

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝᲓ ᲥᲘᲠᲐᲕᲓᲔᲑᲐ **ᲨᲣᲐ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ**, ᲞᲠᲘᲙᲐᲖᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲐᲓᲘᲡ ᲔᲙᲖᲐᲠᲮᲘᲡ ᲛᲔᲘᲓᲐᲜᲖᲔ. № 4. ᲤᲐᲡᲘ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲑᲐ, ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲙᲖᲔᲓ ᲑᲐᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, № 56. (3—3)

---

Ი. ᲛᲣᲠᲐᲓᲝᲕᲘᲡ

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

# ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲐᲝᲓ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲙᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐᲓ ᲡᲐᲕᲐᲭᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲔᲑᲝ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲘ. ᲐᲠᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ ᲓᲘᲓ-ᲫᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲡᲐᲮᲛᲐᲠᲝ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲮᲐᲖᲣᲚᲘ ᲠᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘ, ᲐᲡᲘ—5 ᲛᲐᲜᲣᲗᲘ., ᲛᲣᲖᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲝᲢᲔᲑᲘ, ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲬᲠᲘᲠᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲐᲤ ᲤᲐᲡᲐᲓ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲡ �გᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲪ ᲬᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲗᲐ.

(50—25)

---

# ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

25% ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲛᲘᲜᲐᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲦᲒᲐᲡ ᲩᲐᲘ, ᲙᲐᲤᲔ, ᲨᲔᲙᲝᲚᲐᲓᲘ, ᲑᲘᲡᲙᲕᲘᲢᲘ, ᲛᲣᲠᲐᲑᲐ, ᲑᲠᲘᲜᲯᲘ, ᲯᲣᲠᲯᲚᲔᲑᲘ, ᲡᲢᲐᲥᲜᲔᲑᲘ, ᲑᲐᲙᲚᲔᲑᲘ, ᲗᲔᲗᲨᲔᲑᲘ, ᲩᲐᲘᲜᲘᲙᲔᲑᲘ, ᲡᲣᲓᲝᲒᲔᲑᲘ, ᲗᲝᲗᲨᲔᲑᲘ, ᲨᲐᲠᲘᲡ-ᲡᲐᲑᲐᲜᲘ, ᲙᲚᲘᲢᲔᲔᲑᲘ, ᲡᲐᲛᲣᲠᲕᲔᲚᲘ, ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡ ᲡᲐᲯᲘᲓᲘ, ᲙᲝᲕᲖᲔᲑᲘ, ᲓᲐᲜᲔᲑᲘ, ᲙᲚᲛᲔᲑᲘ, ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘ, ᲙᲐᲜᲒᲕᲠᲢᲔᲑᲘ, ᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘ, ᲙᲐᲠᲐᲜᲓᲐᲨᲔᲑᲘ, ᲗᲝᲗᲨᲔᲑᲘ, ᲠᲣᲙᲝᲚᲕᲔᲠᲔᲑᲘ, ᲙᲠᲔᲒᲔᲑᲘ, ᲨᲚᲐᲭᲩᲔᲑᲘ, ᲒᲐᲜᲔᲑᲘ, ᲥᲐᲛᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲣᲚᲔᲚᲣᲠᲔᲑᲘ, ᲙᲚᲘᲝᲜᲙᲐ, ᲣᲜᲐᲒᲘᲠᲔᲑᲘ, ᲓᲐᲒᲛᲔᲑᲘ, ᲣᲗᲝᲔᲑᲘ, ᲢᲐᲜᲢᲔᲑᲘ, ᲨᲐᲠᲘᲡᲡᲐᲑᲐᲜᲘ, ᲪᲮᲕᲘᲠᲘᲡ-ᲡᲐᲡᲮᲝᲪᲘ, ᲩᲣᲚᲥᲔᲑᲘ, ᲢᲣᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲯᲘᲓᲘ, ᲓᲣᲮᲔᲑᲘ, ᲨᲐᲠᲑᲐᲗᲘ, ᲪᲘᲢᲛᲐᲢᲛᲐᲒᲜᲘᲢᲘᲐ, ᲩᲘᲜᲐᲡ ᲓᲕᲘᲜᲝ, ᲨᲝᲠᲢ-ᲕᲔᲘᲜᲘ, ᲮᲔᲠᲔᲡᲘ, ᲙᲝᲜᲘᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲡᲮᲕ. ᲠᲐᲛᲔᲔᲑᲘ,—ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. ᲘᲥᲜᲔ ᲩᲐᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲗᲝᲕᲘᲡ ᲜᲐᲠᲓᲐᲗ: ᲤᲣᲤᲝᲑᲘᲗ 40, 46, 52 ᲓᲐ 58 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲝᲑᲘᲗ: 1 Მ., 1 Მ. 10 Გ., 1 Მ. 20 Გ., 1 Მ. 40 Გ., 1 Მ. 60 Გ., 1 Მ. 80., ᲓᲐ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐ 2 Მ.—ᲬᲝᲜᲐ ᲣᲥᲓᲐᲦᲓᲔᲑᲐ.

ᲗᲝᲗᲤᲔᲑᲘ 20—60 ᲛᲐᲜ., ᲩᲝᲙ-ᲑᲝᲠ (*choke bore*) *Ceorge Dau*-Ს ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲓᲐᲛ—120 ᲛᲐᲜ. ᲠᲕᲝᲚᲕᲔᲠᲔᲑᲘ 4—34 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ ᲑᲣᲚᲓᲝᲒᲘᲡᲐ 11—20 Მ. ᲥᲦᲘᲡ ᲣᲜᲐᲒᲘᲠᲔᲑᲘ 65 ᲛᲐᲜ-ᲓᲐᲛ.; ᲨᲔᲤᲘᲚᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲑᲘ ᲩᲐᲜᲒᲚᲔᲑᲘᲗ 3 ᲛᲐᲜ. 50 ᲙᲐᲪ-ᲓᲐᲛ ᲓᲣᲪ., ᲐᲯᲑᲝᲛᲔᲑᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲤᲐᲡᲐᲓ, ᲤᲘᲚᲢᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲣᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔᲓ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲘ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲐ ᲗᲝᲗᲤᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲕᲝᲚᲕᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ.

(100—42)

---

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲦᲚᲔᲠᲔᲘᲐᲨᲘ

(*Maison de confiance*)

| ᲨᲔᲐᲓᲐᲠᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲩᲐᲘ | ᲩᲐᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲓ |
|---|---|
| — — 1 Მ. 10 ᲙᲐᲪ. | — 1 Მ. 40 ᲙᲐᲪ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 ᲙᲐᲪ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 ᲙᲐᲪ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 ᲙᲐᲪ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 ᲙᲐᲪ. |
| ᲡᲣᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ 2 ᲛᲐᲜᲔᲗ. | — 3 ᲛᲐᲜᲔᲗ. |

ᲩᲐᲘᲡ: ᲬᲝᲜᲐ—ᲣᲥᲓᲐᲦᲓᲔᲑᲐ, ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲙᲘ ᲥᲦᲘᲡᲓᲘᲗ. (100—66)

---

ᲝᲠᲘᲜᲘᲡᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ

# ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲡᲐ 30% ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ. ᲘᲥᲕᲔ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ: ᲨᲐᲠᲔᲣᲡᲘᲜᲐ 40 ᲙᲐᲪ. ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ; ᲡᲢᲐᲥᲜᲔᲑᲘ, ᲑᲐᲙᲚᲔᲑᲘ 10 ᲙᲐᲪ—ᲓᲐᲛ; ᲞᲐᲓᲜᲝᲡᲔᲑᲘ 5 Კ.—ᲓᲐᲛ, ᲛᲣᲠᲐᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲝᲛᲔᲑᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. (100—42)

---

ᲗᲐᲥᲪᲘᲐ

ᲡᲐᲒᲒᲔᲑᲐᲒ ᲮᲝᲠᲐᲒᲒᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲘᲣᲘᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲨᲘ, ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲗ 1 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲛ 1 ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲔ.

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲮᲕᲐᲠᲘ ᲞᲣᲠᲘ: ᲮᲝᲠᲑᲚᲘᲡ ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲡ:

| | | |
|---|---|---|
| ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ | —1 ᲒᲘᲠ. | 5 Კ. |
| ᲛᲔᲝᲠᲘᲡ „ | —1 ᲒᲘᲠ. | 3½ |
| ᲛᲔᲡᲐᲛᲘᲡ „ | —1 ᲒᲘᲠ. | 3 Კ. |

ᲘᲛᲐᲕᲔ ᲤᲥᲕᲘᲚ. ᲗᲝᲠᲜᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲛᲪᲮᲕᲐᲠᲘ:

| | | |
|---|---|---|
| ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ | —1 ᲒᲘᲠ. | 5 Კ. |
| ᲛᲔᲝᲠᲘᲡ „ | —1 ᲒᲘᲠ. | 4 Კ. |

ᲯᲕᲐᲠᲘᲡ-ᲛᲐᲛᲘᲡ ᲞᲣᲠᲘ:

| | | |
|---|---|---|
| ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲮᲐᲠᲘᲡ. ᲚᲐᲕᲐᲨᲘ | 1 ᲒᲘᲠ. | 6½ |
| ᲛᲔᲝᲠᲘᲡ „ „ | —1 ᲒᲘᲠ. | 5 Კ. |
| ᲛᲔᲡᲐᲛᲘᲡ „ „ | —1 ᲒᲘᲠ. | 4½ |

ᲫᲠᲝᲮᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ:

| | | |
|---|---|---|
| ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ | —1 ᲒᲘᲠ. | 10 Კ. |
| ᲛᲔᲝᲠᲘᲡ „ | —1 ᲒᲘᲠ. | 8 Კ. |
| ᲡᲣᲚᲘ — — | —1 ᲒᲘᲠ. | 15 Კ. |
| ᲪᲮᲔᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ | 1 ᲒᲘᲠ. | 10 Კ. |

ᲚᲝᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ:

| | | |
|---|---|---|
| ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ | —1 ᲒᲘᲠ. | 12 Კ. |
| ᲛᲔᲝᲠᲘᲡ „ | —1 ᲒᲘᲠ. | 11 Კ. |

---

ᲝᲗᲘᲠᲘᲡᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ

# ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ